ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3975109

ნომერი: AR1599392

თარიღი : 07.05.2018

გაცემის თარიღი : 22.05.2018

გაცნობის თარიღი : 23.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 87;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გიორგაძე პ/ნ 01009009942
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 1 ბ. 36

ორგანიზაცია:

- შპს დომუს ვაკის პარკი კოდი: 405127937

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 07 მაისის № AR1599392 განცხადებით მომართა გიორგი გიორგაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებით ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №87-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.11.022.004) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, საერთო ფართობის ნაცვლად 13 453.8 კვ.მ-ისა 13 474,8 კვ.მ-ის დაფიქსირება, საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად 5925 კვ.მ-ისა 5961 კვ.მ-ის დაფიქსირება, საზაფხულო ფართობის 2088 კვ.მ-ის ნაცვლად 2053 კვ.მ-ის დაფიქსირება, საოფისე ფართობის 405 კვ.მ-ის ნაცვლად 425 კვ.მ-ს დაფიქსირება.

სამსახურმა 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:5961, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:2053, საოფისე ფართობი (კვ.მ).:425, საერთო ფართობი (კვ.მ).:13 474,8.